სსიპ ქალაქ თბილისის N 63-ე საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრების ეფექტური მუშაობა

თამარ ჩიხრაძე

ნანი ბექაური

თინათინ ღვინიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია ბიწაძე, განათლების დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება სსიპ ქ. თბილისის N63 საჯარო სკოლაში პრაქტიკული კვლევის შედეგად გამოვლენილ საგნობრივი კათედრების არაეფექტური მუშაობისა და კომუნიკაციის პრობლემას კათედრების წევრ-მასწავლებლებს შორის. კვლევა მიზნად ისახავს საგნობრივი კათედრებისთვის ერთობლივი ეფექტური მუშაობის შეფასების სქემის შემუშავებით სკოლაში ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნას, თანამშრომლობის კულტურის ამაღლებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

ნაშრომში ასახულია პედაგოგებს შორის საქმიანი ურთიერთობებისას სკოლაში გამოვლენილი არაეფექტური კომუნიკაციის პრობლემები, მათი გამომწვევი მიზეზები და გადაჭრის გზების ძიების პროცესი. საკვლევ საკითხებზე საუბრის შემდეგ მოცემულია ლიტერატურის მიმოხილვა, განხილულია მეთოდოლოგია, რომლითაც ჩატარდა სკოლაში არსებული სიტუაციის ღრმა ანალიზი. კვლევის ანგარიშში აგრეთვე აღწერილია ის ცვლილებები, რაც, სავარაუდოდ გააუმჯობესებს არსებულ მდგომარეობას.

პროექტში განხილულია ზოგადად პრაქტიკული კვლევის არსი და საკვლევი კომისიის წარმომადგენლების შერჩევისა და მათთან თანამშრომლობის დეტალები, აღწერილია თანამშრომლობის პროცესში წარმოშობილი სირთულეები და მიღწევები, პრობლემის იდენტიფიცირების პროცესი, მონაცემთა შეგროვების მეთოდები და მონაცემთა ანალიზი.

ამასთანავე, ნაშრომში საუბარია ინტერვენციის ეტაპზე სამუშაო ჯგუფის მიერ კათედრის მუშაობის შეფასების სქემის შემუშავებასა და ამ სქემის შემფასებელი მონიტორინგის ჯგუფის შექმნაზე.

ნაშრომის ბოლო ნაწილში მოცემულია ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც შესაძლოა გაითვალისწინოს სკოლამ, რომელსაც აქვს N63 სკოლის მსგავსი პრობლემა და ასევე მათ, ვისაც სურს დანერგოს სამუშაო ჯგუფის მიერ შეთავაზებული დოკუმენტი.